ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

28 (10015) • 15 ivlisi • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

„ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო შეხვედრები დაიწყო

ნუგზარ ასათიანი

„ქართული ოცნების“ ოზურგეთის რაიონულმა ორგანიზაციამ მუნიციპალიტეტის სოფლებში წინაასაარჩევნო შეხვედრები დაიწყო.

9 ივლისს „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩია სოფ. ნატანებში შეხვდა „ქართული ოცნების“ აქტივისტებს და მხარდამჭერებს.

– თქვენ იცით როგორ მიიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საპარლამენტო არჩევნებში 40 პროცენტი, მაგრამ ეს დროებით წაიღეს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში ახალი ცხოვრება დაიწყება. ამჟამად პრეზიდენტი ბევრ ინიციატივას ბლოკავს და შემდეგ მის დაძლევას დრო სჭირდება, რაც აფერხებს ქვეყნის განვითარებას– განაცხადა შეხვედრაზე დავით დარჩიამ.

მან 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში განხორციელებულ პროცესებზე ისაუბრა. ის, რომ ბიძინა ივანიშვილი ამომრჩევლებზე მიცემულ სიტყვას ასრულებს, ამის მაგალითი ჯანდაცვის პროგრამაა, რომლის მეორე ეტაპი 1 ივლისიდან შევიდა მოქმედებაში–თქვა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილობრივმა წარმომადგენელმა ტიტე ბაქანიძემ დასვა კითხვა ოზურგეთში, მუნიციპალიტეტის შენობასთან მიმდინარე აქციის შესახებ, რაზედაც პასუხი „ქართული ოცნების“ რეგიონის კოორდინატორმა დავით კუკულაძემ გასცა:

– ჯერჯერობით მუნიციპალიტეტში მხოლოდ გამგებელი და მისი მოადგილეები შეიცვალა. საკრებულოში 2010 წლის არჩევნებში მხოლოდ 2 დეპუტატი შევიდა ოპოზიციიდან. დანარჩენი – ნაციონალური მოძრაობიდან. აქციაში, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ორი ადამიანი „ქართული ოცნების“ წევრია. როდესაც ბონდო ღლონტი დავიბარეთ ოფისში, მან გვითხრა, რომ იგი აქციაში არ მონაწილეობს პარტიის სახელით, არამედ იგი გამგებელთან პირადულის გამო იმყოფება აქციონერთა შორის. ყველა ადამიანს აქვს უფლება კონსტიტუციის ფარგლებში გამოხატოს პროტესტი და ჩვენ ამაში არ ჩავერევით.

ცენტრალურ ოფისში შევხვდით დავით დარჩიას, ბესო მელუას, საკრებულოს დეპუტატ ლელა ნაცვალაძეს. შეხვედრის მიზანი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნების შემდეგ შექმნილი სიტუაციის შეცვლა იყო. იქ, ბესო მელუას დავით დარჩიას მიმართ არ გამოუხატავთ უარყოფითი დამოკიდებულება,–მათი სამიზნე გამგებელი იყო.

კი, ბატონო–ვუპასუხე მე, თქვით არგუმენტები და ფაქტები....არგუმენტს მისი შესაბამისი ფაქტი უნდა ახლდეს. ერთობლივად შევხვდით რეგიონალური სამსახურის უფროსსაც. მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ წევრებს აქციის დაწყებამდე ჩვენთვის უნდა მოემართათ. ჩემთვის გაუგებარია, რას ედავებიან ნაციონალი დეპუტატების მიერ საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარისათვის ხმის მიცემას? ჯერ არ ჩატარებულა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი არჩევნები, „ქართული ოცნება“არ მოსულა მუნიციპალიტეტის საკრებულოში. ჩვენ ამ აქციით ჩასაფრებულ ნაციონალებს

▶▶▶ გვ-2

აქცია ინსტიტუტის წინ და ჟურნალისტებზე განაწყენებული დირექტორი

გაზეთი „ალიონი“

12 ივლისს, ანასეულში, ჩაის, სუბტროპიკულ და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ძველი კორპუსის წინ კახა ბენდუქიძის მიერ სამსახურიდან გათავისუფლებულმა მეცნიერების ერთმა ჯგუფმა, ლევან ქუთათელაძემ, ნანული ორაგველიძემ, ინგუში ჭოლაძემ და სხვებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია გამართეს.

–მას შემდეგ, რაც კახა ბენდუქიძეს მიზერულ ფასად გადასცეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მას ავტომატურად გადაეცა ამ ინსტიტუტში შემავალი 14 საკვლევი ინსტიტუტი რომლებიც შემდეგ ანასეულის ინსტიტუტის მდგომარეობაში ჩააყენეს. ტექნიკური მუშაკების ჩათვლით დღეს ამ ინსტიტუტში 21 კაცი მუშაობს. ჟურნალში გაყარეს ასამდე მეცნიერ-მუშაკი, გააუქმეს რიგი ლაბორატორიები. ხედავთ მეცნიერებათა დოქტორები, რომლებიც უნიკალური კვლევების ავტორები არიან, ჟურნალში გაყარეს. ბენდუქიძემ განაცხადა:–„მეჩაიეობა, მებაღეობა, მევენახეობა საქართველოსთვის დიდი ტვირთია და იგი უნდა მოვიცილოთო.“აკი, ასრულებს კიდეც– განაცხადა მეცნიერებათა დოქტორმა **ნანული ორაგველიძემ.**

–აჩუქეს ბენდუქიძეს ეს ინსტიტუტი. მან ეს ინსტიტუტი გაანადგურა. საფრთხე ემუქრება ამჟამად მომქმედ ხუთსართულიან კორპუსს, მასში განთავსებულ ლაბორატორიებს და აპარატურას. აქ მხოლოდ 10 მეცნიერ-თანამშრომელი მუშაობს. საფრთხე ემუქრება ინსტიტუტის ტერიტორიებს, ფილიალებს, უნიკალურ ფიგნად ფონდს, რომლის ღირებულება 150 000 დოლარია დარომელიც ამჟამად ბიბლიოთეკის შენობიდან ძირითადი კორპუსის I სართულზე გადააქვთ. ეს პროცესი სასწრაფოდ უნდა შეჩერდეს–ითხოვდა **ლევან ქუთათელაძე.**

–ბენდუქიძეს უნდა ყველაფე-

▶▶▶ გვ-2

ფრაქცია „ერთობის“ განცხადება

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით დაიშალა ფრაქცია "უმრავლესობა-ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა შექმნა ფრაქცია "ერთობა". ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავის დროზე ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში გაიმარჯვეს არა რომელიმე პოლიტიკური ძალის რეიტინგით, არამედ მათი პიროვნული ღირსებითა და ავტორიტეტით.

ვითვალისწინებთ რა ქართველი ხალხის ნებას, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ დღევანდელ ხელისუფლებასთან, ამის დასტურია კოალიცია "ქართული ოცნების" მიერ წარმოდგენილი გამგებლის კანდიდატურისთვის ერთსულოვანი მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ჩვენ ვემიჯნებით საზოგადოებისათვის მიუღებელი, ნებისმიერი პოლიტიკური ძალისა თუ ადამიანთა ცალკეული ჯგუფების მცდელობას დესტაბილიზაცია შეიტანონ ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამით ხელი შეუშალონ სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესს.

ჩვენ არ ვაპირებთ წვრილმან კინკლაობაში ჩავებათ ცალკეულ პიროვნებებთან, ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა პატიოსან ადამიანთან, ვისაც ქვეყნის მომავალზე შესტკივა გული.

თემურ მოქია; ავთანდილ სურგულაძე; დავით დოლიძე; თემურ ჯახვა; ზურაბ მექვაბიშვილი; ვალოდი ბერიძე; პაატა კილურაძე; ვალერიან გირკელიძე;

ლ

ბიძინა ივანიშვილს აქციის მონაწილენი ელოდნენ

ბოლო დღეებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გურიაში იმყოფებოდა. შაბათს, დაბა ურეკში უმრავლესობის ლიდერებთან გამართა შეხვედრა, ხოლო კვირას ბიძინა ივანიშვილი დაბა ჩოხატაურში იმყოფებოდა, სადაც დიდი ქართველი მწერლის, ნოდარ დუმბაძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა.

გავრცელდა ხმები, რომ ბიძინა ივანიშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეებს შეხვდებოდა.

სახელისუფლებო ექსკორტმა მუნიციპალიტეტთან დაახლოებით 18 საათისათვის ჩაიარა. ბიძინა ივანიშვილი ოზურგეთში მიმდინარე აქციის მონაწილეებს არ შეხვედრია.

7 დღის ამინდის პროგნოზი

15 ივლისი	16 ივლისი	17 ივლისი	18 ივლისი	19 ივლისი	20 ივლისი	21 ივლისი
ელ-ჭექი +20+25	ღრუბელი +21+26	ელჭექი +21+27	ხანმოკლე წვიმა +21+27	წვიმა +18+23	წვიმა +16+23	მზე, ღრუბელი +20+25
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

„ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო შეხვედრები დაიწყო

ვაზეიმებთ. ჩვენ არავის არ ვაფარებთ ხელს. თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი და ეს დამტკიცდება, – სასამართლოს წინაშე წარსდგება. ბიძინა ივანიშვილი დანაშაულს არავის არ აპატიებს. არავის არ მისცემს საშუალებას, ქვეყნის ბიუჯეტში აფათუროს ხელი.

ნატანებში შეხვედრაზე გაჟღერდა, რომ „ეროვნული ფორუმის“ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე შოთა გოგიბერიძე ემიჯნება მუნიციპალიტეტის წინ გამართულ აქციას (დარბაზში რამდენიმე ფორუმელი იყო) და ეს „ქართული ოცნების“ოზურგეთის ორგანიზაციას წერილობითაც დაუდასტურა.

შეხვედრაზე ნატანებელმა აგრონომმა ჭიჭიკო ნაკაიძემ, ციური შოვნაძემ, ემზარ ხურციძემ ჩაის, ციტრუსის მომავალზე და თხილის ფასების შესახებაც დასვეს კითხვები. დავით კუკულაძემ და დავით დარჩიამ მათ შესაბამისი პასუხები გასცეს.

დავით კუკულაძემ კოალიციურ რეჟიმში მუშაობის შესახებაც ისაუბრა.

***

„ქართული ოცნების“ოზურგეთის რაიონულმა ორგანიზაციამ შეხვედრა სოფ. შრომაშიც გამართა. კულტურის სახლში 100-ზე მეტი პარტიის აქტივისტი და მხარდამჭერი დაესწრო შეხვედრას.

დავით დარჩიამ, დავით კუკულაძემ „ქართული ოცნების“ მიერ გაკეთებულ საქმეებზე ისაუბრეს.

შრომელებმა სთხოვეს „ქართული ოცნების“ ოზურგეთის რაიონულ ორგანიზაციას დააყენონ საკითხი „ენერგო პრო ჯორჯიას“ წინაშე დროულად მოხდეს სოფ. შრომაში გამრიცხველიანების პროცესი, რათა სოფელს არ ჰქონდეს შუქის ხშირი გათიშვის შემთხვევები.

ასეთივე პრობლემატურია დამეწყრილი სახლები, საიდანაც 40-ში არ იცხოვრება. დაისვა საკითხი ნატანები-შრომა-ურეკის გზის მშენებლობის, ეკალდიდის სკოლისა და ID ბარათების შესახებ.

აქცია ინსტიტუტის წინ და ჟურნალისტებზე განაწყენებული დირექტორი

რი გაანადგურის, რომ შემდეგ შეუძლებელი გახდეს ამ ინსტიტუტის აღდგენა. 10-15 წლის შემდეგ სუბტროპიკული მეურნეობის სპეციალისტები აღარ გვეყოლება, მათზე მოთხოვნა იქნება და უცხოეთიდან მოუწევთ ჩამოყვანა –ამ სიტყვებით გამოხატა თავისი გულისტკივილი მხცოვანმა მეცნიერმა ინგუში ჭოლაძემ.

ინსტიტუტის ეზოში ათამდე კარავი გაეშალათ აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებს. ისინი აქ პრაქტიკებს გადიან და ბიბლიოთეკის შენობიდან წიგნების გადაზიდვაზე მუშაობენ.

აქციის მონაწილეებთან მივიდა ახალგაზრდა კაცი, აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენელი **შალვა თავაძე**.

–ჩვენ გვაქვს ანასეულის ინფრასტუქტურის განვითარების ნახევარმილიონიანი პროექტი, რომლითაც უნდა აღდგეს შენობები, ბიბლიოთეკის შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარდეს და პირვანდელი სახე დაუბრუნდეს. ვგეგმავთ ანასეული გახდეს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ჩვენ ახლა აქ სტუდენტური პრაქტიკები გვაქვს და ჩართული ვართ ინსტიტუტის განვითარებაში. იმას, რომ სტუდენტებს გადააქვთ წიგნები, ეს მათ სამეცნიერო პრაქტიკაში ეთვლებათ, 10-10 დღით ჩამოდიან და გვეხმარებიან მუშაობაში.

აქციის მონაწილეებმა უნდობლად მიიღეს მისი სიტყვები და ამბობდნენ –ბენდუქიძე გვატყუებსო.

მეცნიერების თხოვნით ჩვენ ბიბლიოთეკის შენობისკენ გავემართეთ, რათ გვენახა, როგორ ხდებოდა წიგნების გადაზიდვა. ბიბლიოთეკიდან სტუდენტები ხელის ურიკით ეზიდებოდნენ წიგნებს.

რატომღაც ჟურნალისტების დანახვაზე გაღიზიანდა ინსტიტუტის დირექტორი **თემურ რევიშვილი** (იგი ჩვენთან ურთიერთობებში ყოველთვის გამოირჩეოდა კორექტულობით) და განაცხადა, რომ იგი ანგარიშვალდებული არ იყო ჟურნალისტების წინაშე (?!).

–დღევანდელ აქციასთან დაკავშირებით არ ვარ საქმის კურსში. ვმუშაობ, არ მცალია...

თემურ რევიშვილი შემდეგ შეეცადა „გამოესწორებინა“ შეცდომა და ბიბლიოთეკაში მიმდინარე პროცესები ჩვენი თვალით გვენახა.

–ასე იყოს ეს ბიბლიოთეკა? არ გავარემონტოთ, ნახეთ არაფერს ვაშავებთ. ანასეულის ინსტიტუტის განვითარება ხდება....

აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რეგიონალური განვითარების მენეჯერი შალვა თავაძე დაგვპირდა, გაგვაცნობდა ანასეულის განვითარების გეგმას. მომავალი კვირისთვის შევთანხმდით.

ისე, ხელმძღვანელებს შევახსენებთ, რომ ნებისმიერ აქციაზე მისვლა ჟურნალისტის მოვალეობაა. ასევე ჟურნალისტის მოვალეობაა შეხვდეს დაპირისპირებულ მხარეებს.

არა მგონია, რომელიმე დარგში შექმნილი პრობლემა ჟურნალისტების „ზედმეტი დაინტერესების“ ბრალი იყოს. საზოგადოებას ყოველთვის სჭირდება ინფორმაცია მიმდინარე პროცესების შესახებ. ამიტომ თუ რამე სასიკეთო კეთდება გეგმა თაროზე კი არ უნდა იყოს შემოდებული, საზოგადოებას უნდა აცნობდეთ, მით უფრო მაშინ, როდესაც მხცოვანი და უფრო ახალგაზრდა მეცნიერები, მიუხედავად მათი დამსახურებისა, ყოველგვარი მადლობის გარეშე, ქუჩაში გაყარეს.

იქნებ ამაზეც ვიფიქროთ.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციისაგან

წლების მანძილზე გაზეთი „ალიონი“ ხელისუფლებიდან სხვადასხვა სახის ზეწოლას განიცდიდა. ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის მიერ და უშუალოდ მათი დავალებით ცალკეულ მედიასაშუალებაზე გაცემული ათასობით ლარი საფრთხეს უქმნიდა დამოუკიდებელ გაზეთებს. გაზეთს არ ჰქონდა საშუალება განეხორციელებინა პროექტი, არ უფორმებდნენ სამუშაო ფართს, იყო რედაქციის ხელოვნურად დაყადაღების ფაქტი და ა.შ.

სამწუხაროდ, ბოლო მოწვევის საკრებულო იმ ადამიანთა ჯგუფის მხარდამჭერი გახდა, ვინც აქტიურად მუშაობდა გაზეთ „ალიონის“ დასახურად.

რედაქცია ცალკეულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობს ხელშეკრულებების საფუძველზე, (დადგენილებების, განცხადებების, რეკლამების გამოქვეყნება), სადაც ორთავე მხარის ვალდებულებებია გაწერილი. შესაბამისად ადგენს ფინანსურ გეგმას, სავარაუდოდ რა შემოსავალს მიიღებს წლის განმავლობაში, გასავალს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წელს არ გაუფორმებია „ალიონთან“ ხელშეკრულება. მათ მედიაზე გამოყოფილი 23 000 ლარიდან 90 ლარი „არგუნეს“ გაზეთ „ალიონს.“2012 წელს ამდენივე თანხიდან– 500 ლარის მოცულობის სამუშაოები. 2013 წელს მედიაზე გამოყოფილი 4500 ლარიდან, თავდაპირველად 1500 ლარიანი ხელშეკრულების გაფორმება იყო გათვალისწინებული, მაგრამ გაზეთ „ალიონში“ერთ-ერთი კრიტიკული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, თანხა ჩამოაკლეს, 1000 ლარის მოცულობის ხელშეკრულება გააფორმდა. მაგრამ.... ეს ხელშეკრულება დარჩა ფარატინა ქაღალდად, რადგან საკრებულოს 6 თვეში არანაირი ფართი არ აუთვისებია გაზეთ „ალიონში.“(თუ არ ჩავთლით დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულ მცირე განცხადებებს).

ვიფიქრეთ, რაღაც შეიცვლებოდა ჩვენს ურთიერთობაში, მაგრამ.... სამწუხაროდ, ამ წერილის გამოქვეყნებამდე ვერ შეეხვდი საკრებულოს თავმჯდომარეს (თბილისში იმყოფებოდა). მინდოდა მასთან მესაუბრა ამ თემაზე, მაგრამ სტამბა მხოლოდ ამ ნომრის დაბეჭდვას ახერხებს, რადგან „ალიონს“ მათი სოლიდური დავალიანება დაუგროვდა და ვერ იხდის დავალიანებას, ამიტომ ამ შეხვედრის გარეშე ვამბობთ სათქმელს.

საკრებულოს რომელიღაც ჩინოვნიკმა ამ ნომრის სამზადისის პერიოდში არ მისცა ვიზა გაზეთ „ალიონში“ საკრებულოს სხდომაზე განსახილველი ერთ-ერთი პროექტის გამოქვეყნებას, რომ მას მოსახლეობა გასცნობოდა. („ალიონში“მხოლოდ მცირე განცხადება ქვეყნდება).

„ნაციონალური მოძრაობის“ მაამებელი ხელმძღვანელები უკრძალავდნენ თანამშრომლებს დამოუკიდებელი გაზეთების გამოწერას. ასეთთა რიცხვში იყო სურსათის უვნებლობის საგანტოს გურიის სამმართველოს უფროსი. ეს სამსახური დღესაც აგრძელებს „ალიონის“ბოიკოტს...ასეთთა რიცხვში მხარის ხელმძღვანელებიც არიან!

მოგმართავთ თხოვნით „ალიონის“ ხელმომწერებს, დროულად გადაიხადეთ დავალიანებები, წლის მეორე ნახევრის ხელმოწერის ღირებულებები, რათა გაზეთი არ იყოს რომელიღაც „ხელშეკრულების“ მოიმედე.

ნაწილობრივი სოლიდარობა ჩემს ძმებსა და მეგობრებს!

ჩემო თანამემამულენო!

თავს მოვალედ ვთვლი გამოგეხმაუროთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილებს. გულახდილად მინდა გაგანდოთ ჩემეული შეხედულება თქვენი აქციის შესახებ, რომელშიც პირადად ჩემთვის თითქოს მისაღებიცაა და მიუღებელიც.

შევეცდები აგიხსნათ რატომ:

ჩვენ ყველამ ერთად და სრულიად საქართველომ ათეული წლების განმავლობაში უამრავი ქარტეხილი გამოვიარეთ, განსაკუთრებით 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ.

9 აპრილმა ჩვენი დები, ძმები და შვილები შეიწირა, თუმცა ამ შემთხვევამ თავისი დადებითი წვლილი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, ქართველმა ხალხმა გამოიღვიძა და დაიწყო ეროვნული მოძრაობა. მაგრამ ქართველი ერისა და ბერის შეცდომა ის იყო, ქართველი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ვერ შევინარჩუნეთ. გახსოვთ ალბათ, რამდენიმე დღეში პრეზიდენტის არჩევიდან თბილისში საპროტესტო (გაუგებარი) აქცია დაიწყო. გახსოვთ, როგორ დამთავრდა ყოველივე. კანონიერი პრეზიდენტი ჩამოვაგდეთ და ქვეყანა დარჩა უპრეზიდენტოდ. მივიღეთ ის, რასაც ათასობით ადამიანის მსხვერპლი და ტერიტორიების ნაწილის დაკარგვა მოჰყვა. მიუხედავად თავგანწირული მოქმედებებისა, ვერ მოვახერხეთ სწორი ქმედების გზა გვეპოვნა და ვერც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ თუ საზოგადოებამ დღემდე ვერ მიაღწია გამარჯვებას,

მინდა შეგეკითხოთ, ხომ ერთად ვიდექით ბატონი ბიძინა ივანიშვილის გვერდით? ამ კაცმა ხომ საქართველო იხსნა კატასტროფისაგან, გადაშენებისგან, ვაიქართველებისაგან, რომლებმაც გარყვნეს, გაძარცვეს და ბოლოს ცოცხებით გააუპატიურეს ქვეყანა. ისინი ხომ ქართველი ხალხის მოსპობას ცდილობდნენ! ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, რა გამართლება აქვს დღევანდელ თქვენს აქციას. მე უბრალოდ გირჩევდით, კიდეც ერთხელ დაფიქრდეთ, რას ჩადით, რას გამოიღებს თქვენი ქმედება. სიმართლე გითხრათ, ნაწილობრივ ზოგი რამ თქვენი მოთხოვნისა, მისაღებია, მაგრამ საბოლოო ჯამში რა გამოგვივა. თუ ვინმე ფიქრობს, რომ საქართველო დღეისთვის თავისუფალია, ძალიან ცდება. მე მგონია, ყველაზე დიდი ბრძოლა წინ არის, რასაც „საპრეზიდენტო არჩევნები“ ჰქვია. თუ ჩემს გამოცდილებას დავუჯერებთ, მოკლედ გეტყვით:– მოდით, დიდი და პატარა გავერთიანდეთ საპრეზიდენტო არჩევნების გარშემო და საბოლოდ ერთად შევასხათ ფრთები იმ წარმატებას, რასაც „ქართული ოცნების“ საბოლოო გამარჯვება ჰქვია. მოდით, ერთიანი ძალით საბოლოოდ დავამარცხოთ ის ჯალათები, რომლებიც კვლავაც ებღაუჭებიან ხვალინდელ დღეს.

ჩემო მეგობრებო! ზოგიერთი რამ, რაც ხდება ქვეყანაში, ჩემთვისაც მიუღებელია, მაგრამ ეს მდგომარეობა დროებითი და გარდამავალია. მე წერილის დასაწისში შემთხვევით არ მიხსენებია ზვიად გამსახურდია. მე მეშინია, ისტორია ნაწილობრივ არ განმეორდეს. ნუ დავასხამთ მტრის მიერ გაჩაღებულ ცეცხლზე ნავთს. ერთად გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო და ჩვენი იმედი. ხვალინდელი მომავალი ჩვენი შვილებია, რომლებიც ჩვენგან მოელიან სამართლაინ ქმედებებს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ჯემალ კეჭაყმაძე,
ომისა და შრომის ვეტერანი.

წინასწარი მოკვლევა დაიწყო

ნუგზარ ოთარიშვილი

როგორც გაზეთ „ალიონს“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ განუცხადა, მას შემდეგ, რაც კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილობრივმა ლიდერებმა ტიფო მიქატაძემ, დიმიტრი კვერღელიძემ, ეროვნული ფორუმის წარმომადგენელმა ზაზა გობრონიძემ, მოძრაობა სამართლიანი საქართველოს წარმ-ომადგენელმა თამარ ნადირიძემ და ლელა ნაცვალაძემ პეტიცია გაუგზავნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რესპუბლიკის პროკურატურას, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივანს არმაზ ახვლედიანს, პარლამენტის კომიტეტებს შსს სამინისტროს და საქართველოს პროკურატურის აჭარის ოფისმა პეტიციაში დასახელებულ საკითხებზე მოკვლევა დაიწყო.

შსს გურიის სამმართველოში მოწმის სტატუსით გასაუბრებაზე იყვნენ ლელა ნაცვალაძე და სხვა პირები.

როგორც ქალბატონმა ლელამ განაცხადა, მოწმის სტატუსით გასაუბრება 3 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა (გამომძიებელი ხომერიკი).

რაც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციას, იგი მისი თქმით გაგრძელდება.

განცხადება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განსახილველად წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესების დამტკიცების შესახებ პროექტს. (პროექტის სრული ვერსია იხ: www.ozurgeti.org.ge…)

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოსაზრები და წინადადებები მოგვაწოდოთ მის: ოზურგეთი კოსტავას ქ.1 ; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ტელ: 27- 51-25; E-mail: ozurgeti. sakrebulo@gmail.com; www.facebook. com/ sakrebulo;

საფლავების მოვლა-პატრონობის და მიწის გამოყოფის საფასური (პროექტი)

ერთჯერადი, სავალდებულო გადასახადი –არანაკლებ 50 თეთრისა თვეში ერთ ოჯახზე (6 ლარი წელიწადში);

სერვისი: სასაფაოს ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (გზა, ღობე, მისასვლელი ბილიკები, განათება, ნარჩენების გატანა);

სამარხის მოვლა-პატრონობის ნებაყოფლობითი გადასახადი

არანაკლებ 18 ლარისა წელიწადში (თვეში–1,50 თეთრი). მომსახურების თანხა რეგულირდება ინდივიდუალური ხელშეკრულებით, სადაც იქნება გათვალისწინებული დამკვეთის წინადადებები.

1 კვ.მ. მიწის გამოყოფა სამარხისათვის –15 ლარი;

12 კვ.მ-ს ზემოთ –1 კვ.მ. –25 ლარი;

ველა სახის სერვისმომსახურება დარეგულირდეს ხელშეკრულების საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: (595) 30 50 38

oz. Serviscentri @gmail. Com

ტელ. 476 27 41 23.

ნუნუკი ხუნდაძე

ოზურგეთელ ქალბატონებს შორის სილამაზით და ოჯახის შვილობით გამორჩეული გახლდათ დები: ნუნუკი, ქეთევან-კიჭა და სალომე ხუნდაძეები-იონა მეუნარგიას შთამომავლები. მათი დედა სალომე (საშა) იონა მეუნარგიას ქალიშვილი იყო, ეს ის სალომე მეუნარგიაა, რომელსაც იოსებ გრიშაშვილმა უძღვნა ლექსი "ოქროს ფეხები" (შოთა ქურიძე) აკაკი წერეთელი კი პატარა სალომეს ისე განუციფრებიან რომ მისთვის ექსპრომტიც კი მიუძღვნია, ამის შესახებ სალომეს შვილიშვილმა ქალბატონმა დარეჯან (დუდუხანა) გოგუაძემ მიამბო: 1909 წელს აკაკი ლექციებს კითხულობდა თურმე ფოთში მაშინ იონა მეუნარგია ფოთის ქალაქის თავი ყოფილა. მომხდარა ისე რომ აკაკის სტუმრობისას სახლში მხოლოდ პატარა სალომე და მოსამსახურეები ყოფილან, ბებიაჩემს დიასახლისობა უკისრია. აკაკი ისე მოხიბლულა რომ ექსპრომტი მიუძღვნია პატარა დიასახლისისთვის;

"როცა გათხოვდე უთხარი შენს ქმარს
რომ ბავშვიც იყავ შენ საყვარელი
და სამეგობროდ მცხოვან მგოსანმა
გამოგიწოდა შენ გრძნობის ხელი"

ბაბუაჩემს ბეჟან ხუნდაძეს განათლება ოდესაში ქონდა მიღებული. რეულუციამდე ნაფიცი მსაჯული იყო, შემდეგ თავად აზნაურების წინამძღოლი ბოლოს პროკურორი,პროკურატურა განთავსებული იყო ოზურგეთში მათი საცხოვრებელის პირველ სართულზე. ომის დროს სალომე ჰოსპიტალში მუშაობდა კანცელარიის უფროსად,რუსული იცოდა კარგად, ოჯახში რუსულს და გერმანულს ასევე მუსიკას დიდ ყურადღებას უთმობდნენ. მასწავლებლები სახლში დაუდიოდნენ ამიტომაცაა ჩვენი ოჯახის ქალები უმეტესად გერმანისტები არიან ჩემი ჩათვლით – გვიამბობს ქალბატონი დუდუხანა. დედაჩემიც გერმანისტი იყო. ნუნუკის ინჟირნობა ხიბლავდა თურმე მაგრამ მამას არ დაუნებებია თურმე რა ქალის საქმეაო, და ინგლისურზე მოწყობილა უნივერსიტეტში, ამასთან მუსიკითა და პოეზიით ყოფილა გატაცებული. მაშინ თბილისში ტიფი მძინვარებდა, ბეჟანი შეშინებულა და ქალიშვილი ოზურგეთში დაუბრუნებია.

უმშვენიერეს ნუნუკი ხუნდაძეს 17 წლის ასაკში საბავშვო ბაღში დაუწყია მუშაობა ნუნუკის მეუღლე გურიაში ცნობილი ქირურგი გერმანე ჯიბუტი-როგორც მას სიყვარულით გერმან ანტონიჩს ეძახდნენ. მამამისი ანტონ ჯიბუტი შუაგანახლების (ჩოხატაურის რაიონი) ნათლის მცემელის ეკლესიის მოძღვარი იყო. გერმანე ოზურგეთის სემინარისაა და ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა. ნუნუკისა და გერმანეს სასიყვარულო ისტორია ქობულეთში დაიწყო. გერმანე დაინახა თუ არა ველოსიპედზე მოსეირნე ულამაზესი ქალიშვილი ძალიან მოეწონა და შეუყვარდა კიდეც. ამ სიყვარულს ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ნუნუკის სამსახურის პირდაპირ სახლში ცხოვრობდნენ და ძმა კესა და გერმანე ჯიბუტები. გერმანე წარმოსადეგი ვაჟკაცი, ძლიერი ხასიათის პიროვნება და შესანიშნავი სპეციალისტი იყო. ბეჟანს არ დაუშლია მათი ურთიერთობა და ერთი წლის შემდეგ შეუღლდენ კიდეც. ეს იყო ოზურგეთში ერთ-ერთი საუკეთესო ოჯახში.

ნუნუკი არამარტო უმშვენიერესი არამარტო ულამაზესი სულის ადამიანი იყო. გერმანეს და ნუნუკის საკუთარი შვილები არ ჰყოლიათ. მათ საკუთარი შვილებივით გაზარდეს გერმანეს ძმიშვილები ნანა და გენუსი. გენუსი გერმანეს და ნუნუკის სახელების აბრევიატურაა. ნუნუკის მოგონებიდან: "მეუღლე რომ გარდამეცვალა თამარ თავაძემ (ბაღის გამგემ) სამსახურში ძალით წამიყვანა, ვმსახურობდი და ოჯახსაც ვუვლიდი. ჩემთან თავი მოუყარე დედას, დას, სამეგრელოდან ბებია ჩამოვიყვანე, ჩემს დას კიჭას რომელიც 34 წლის ასაკში დაავადდა მე და დედაჩემი ვუვლიდით მისი შვილები ჩემთან იზრდებოდა, ორი



მაზლიშვილი კიდევ, გენუსი-ჩემი ბიჭი, კიდევ ერთი ობოლი ბიძაშვილი.." (გაზ. თვალსაწიერი №1 12.03.1991 წ.).

გენუსი როგორც ნუნუკი ამბობს "ჩემი ბიჭი" სრულიად ჩვილი გაზარდა მან დედობრივი მზრუნველობა გაუწია ასევე მის ნაადრევად გარდაცვლილი დის ქეთევანი-კიჭას შვილებს ბეჟანსა და დარეჯანს და გენუსის დას ნანას. დღეს ქალბატონი დარეჯანი-დუდუხანა პედაგოგი და ვალ მოხდილი-ორი ვაჟის დედა და მზრუნველი ბებია, ქალბატონი ნანა ჯიბუტი წლების მანძილზე მუშაობდა ოზურგეთის ქალაქ ვაჭრობაში ეკონომისტად. იგი ქართული ოჯახის ტრადიციების დამცველი დედა და სანიმუშო ბებიაა.

ნუნუკის ოჯახში ტრადიციულად ჯერ კიდევ მშობლების ბეჟანისა და სალომეს სიცოცხლეში ხშირად იკრიბებოდენ ოზურგეთში სტუმრად ჩამოსული ქართველი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები, აქ სტუმრად ყოფილან: გალაქტიონ ტაბიძე, სესილია თაყაიშვილი, ცეცილია წუწუნავა, კაკი ნაკაშიძე და სხვები. ქალბატონი ნუნუკი ტრადიციების გამგრძელებელი არაჩვეულებრივი დიასახლისი და სტუმართმოყვარე პიროვნება გახლდათ. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდათ კოტე მახარაძესა და სოფიკო ჭიაურელთან რომლებიც ახალ დაქორწილებულები სტუმრობდნენ ნუნუკის.

კეთილშობილი ქალბატონი ნუნუკი ხუნდაძე გარდაიცვალა 1993 წელს რომელსაც დარჩა მადლიერი შთამომავლობა.

მანანა ლომაძე

გენდერული თანასწორობა პოლიტიკურ პროცესებში

მარი კოძოევი

9 ივლისს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა საჯარო დისკუსია თემაზე-გენდერული თანასწორობა პოლიტიკურ პროცესებში.

შეხვედრის მიზანი იყო მოსახლეობის ინფორმირება გენდერული თანასწორობის ქსელის მიზნების,საქმიანობისა და აქტივობის შესახებ, აქტიურ მხარდამჭერთა და თანამოაზრეთა გუნდის შექმნა და ქსელში გაერთიანება. ორგანიზატორების თქმით, შეხვედრა ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას, გააქტიურებას და დაინტერესებას გენდერული თანასწორობისა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის საკითხებზე.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს გურიაში მცხოვრებმა, ადგილობრივმა აქტივისტმა-ლიდერმა ქალებმა, გენდერულ თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების,ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, მასმედიის წარმომადგენლებმა.

შეხვედრას უძღვებოდნენ „გენდერული თანასწორობის ქსელის" რეგიონალური კოორდინატორი, ლალი ყაჭეიშვილი, ქალთა კავშირის და გენდერული თანასწორობის ქსელის ხელმძღვანელი, მანანა მებუკე და პროექტის კოორდინატორი, მაია

კუპრავა-შარვაშიძე..

ღონისძიება გაიმართა პროექტის „გენდერული თანასწორობა პოლიტიკურ პროცესებში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „გენდერული თანასწორობის ქსელის" მიერ, „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის" და „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს" ფინანსური მხარდაჭერით

ემოციური შეხვედრების ფონზე

ნინო ნიკოლაიშვილი

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ქალთა კლუბის ბაზაზე შეიქმნა სათემო კლუბი ექადიაზე, რომლის ხელმძღვანელია ქეთევან ქადიეშვილი. კლუბის პირველ შეხვედრაზე ავტოპორტრეტის წარმოდგენის შემდეგ საუბარი ძირითადად სოციალურ საკითხებზე წარიმართა. არაერთი პრობლემა, რომელიც ამ ქალბატონებს, და საერთოდ, საზოგადოებას აწუხებს, მეტ ძალისხმევას მოითხოვს შესაბამისი სტრუქტურებიდან – ასეთი იყო ძირითადი მოსაზრება. ემციური გახდა რუსიკო ზეინკლიშვილის მოსმენა. ოჯახი სოციალურად დაუცველია, ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები. მეუღლეს, გური ზეინკლიშვილს ესაჭიროება სასწრაფო ოპერაცია, თუმცა საოპერაციო თანხის ჩარიცხვას შემოდგომისთვის ჰპირდებიან, მანამდე ავადმყოფს ესაჭიროება წამლები, რომლის შეძენის შესაძლებლობა ოჯახს არ აქვს. დაისვა საკითხი, იქნებ კლუბის სახელით გაიწიოს შუამდგომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რათა დაეხმარონ წამლის შეძენაში.

* * *

ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბში შეხვედრას ესწრებოდა ფონდის წარმომადგენლები ემა კანკია, მანანა ლეშკაშელი, საკრებულოს დეპუტატი ლელა ნაცვალაძე, მსახიობი ბელა კიკვაძე. კლუბის წევრებმა ისაუბრეს სოციალურ პრბლემებზე, ლელა ნაცვალაძემ პრობლემების სიუხვე წინა ხელისუფლების დანაშაულობებრივი ქმედებებით და ბიუჯეტის არასწორი შედგენით ახსნა. აღნიშნა, რომ თანხა არ არის გადანაწილებული პრიორიტეტების მიხედვით, პრიორიტეტი კი დღეს სოციალური პრობლების მოგვარებაა. მომდევნო ნაწილში განიხილეს ერთი მსახიობის თეატრის აღდგენის საკითხები.

კლუბის შეხვედრაზე დასწრება ითხოვა თხინვალელმა ქალბატონმა ნანული ხურციძემ, აღნიშნა, რომ არის სოციალურად დაუცველი, შვილი მოსწავლეა, მეუღლე ავადმყოფი, არანაირი შემოსავალი არ გააჩნია, გარდა სოციალური დახმარების მიზერული თანხისა. მას კი, როგორც შრომისუნარიანს, არ მიეცა შესაძლებლობა სამსახურის შოვნისა. – ვარ უმაღლესი განათლებით, გამოცდილი კადრი. სამსახურს ვითხოვ, რომ შევძლო ოჯახის შენახვა, მაგრამ უარს მეუბნებიან იმ მოტივით, რომ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი სოფელში – აღნიშნა მან.

გაზეთ „ალიონის“ №27-ში გამოქვეყნებული შოთა ბოლქვაძის ღია წერილის პასუხად.

ალიონის წინა ნომერში გამოქვეყნებული წერილის პასუხად, მინდა ვუპასუხო ბატონ შოთა ბოლქვაძეს, მის მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა თუ გულისტკივილთან დაკავშირებით, რაც შეეხებოდა მიმდინარე წელს საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებას, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტებს, თუ ზოგადად დარგის მდგომარეობას. დასაფასებელია ასაკის მიუხედავად ბატონი შოთას აქტიურობა და მის მიერ გამოთქმული წუხილი დარგის დღევანდელ მდგომარეობასან დაკავშირებით, მაგრამ ამავე დროს უნდა ვაუწყო საზოგადოებას იმ უზუსტობების შესახებ რაც წერილში იყო მოყვანილი.

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის„ პროექტის ფარგლებში, მოსახლეობას დაურიგდა სასოფლო-სამეურნეო ნომინალური ბარათები, რომლებითაც მათ შეეძლოთ შესაბამისი სამეურნეო ინვენტარისა თუ შხამქიმიკატის შეძენა და ასევე კომბინირებული ბარათები, რომლებითაც ხდებოდა ორი სახის ოპერაციის შესრულება - ფართობის მოხვნა და ხნულის დადისკვა ან გაფხვიერება. ხაზს ვუსვამთ მხოლოდ ორი ოპერაცია და არამც და არამც თესვა თუ სხვა სახის ნიადაგის დამუშავებასთან დაკავშირებული ოპერაცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე გაკეთდა უამრავი კომენტარი სამინისტროს მხრიდან, ინფორმირებული იყვნენ სოფლის რწმუნებულები, უამრავი შეხვედრა გლეხებთან სოფლებში, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურში, გამგეობასა თუ უშუალოდ საყანე ფართობში, შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო ბარათზეც მხოლოდ ორი სახის ოპერაციაა აღნიშნული, ეს საკითხი სამწუხაროდ მაინც დარჩა მთელი რიგი გაუგებრობებისა თუ უკმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ეს პროგრამა ხორციელდებოდა მთელი ქვეყნის მაშტაბით და ყველასათვის დადგენილი საერთო წესების მიხედვით, ბარათები დაიბეჭდა ყველა რეგიონისთვის ერთნაირი, აქედან გამომდინარე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არსად საქართველოში არ ჩატარებულა ზემოთნახსენები ორი ოპერაციის გარდა სხვა სახის ოპერაცია კომბინირებული ბარათით და პროგრამით ეს არც იყო გათვალისწინებული. ასევე შპს. მექანიზატორსაც გააჩნია (და გააჩნდა) საკმარისი სათესი აგრეგატები და სურვლის შემთხვევაში ნებისმიერი ყანის მეპატრონეს შეუძლია ისარგებლოს მათი მომსახურებით.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი დასრულდა, უნდა აღინიშნოს რომ ასეთი მასშტაბის პროექტი საქართველოში არ განხორციელებულა. პროექტის ფარგლებში დახმარება მიიღო 707,918 მიწის მესაკუთრემ, მოიხნა 192568 ჰა ფართობი, ფერმერებმა უსასყიდლოდ მიიღეს 53 მლნ. ლარის სასუქი, 24 მლნ. ღირებულების პესტიციდი, 5 მლნ. ლარის სათესლე მასალა, 39 მლნ.ლარის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით დამუშავდა 5341 ჰა ფართობი, აქედან 4450 ჰა-ზე დაითესა სიმინდი. დაითესა ისეთი ფართობები, რომლებიც უკვე მრავალი წელია არ დამუშავებულა. მოსახლეობამ მიიღო მნიშვნელოვანი მატერიალური შეღავათი, როგორც ხვნა-თესვის პერიოდში კომბინირებული ბარათების წყალობით, ისე ნომინალური ბარათების საშუალებით. მთლიანობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ამ პროექტით ისარგებლა 22397-მა ბენეფიციარმა.

პროექტს რა თქმა უნდა თან ახლდა გარკვეული ხარვეზები, რაც უმეტესწილად ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული - 80% მიწის ფართი დაურეგისტრირებელია, რაც უამრავ პრობლემას ქმნის, არაზუსტი სიები, რამაც პროგრამის მიღმა დატოვა არაერთი ადამიანი და შეაფერხა ბარათების დარიგების პროცესი, ამას დაერთო წლევანდელ გაზაფხულზე გვალვა, რამაც გამოიწვია ხვნა-თესვის აგროვადების გადაწევა და ზოგან ნიადაგის ხარისხიანი დამუშავების გართულება.

სამომავლოდ დარგის რეაბილიტაციას დასჭირდება მრავალწლიანი, მუხლჩაუხრელი და მძიმე შრომა შედეგის მისაღწევად და უახლოეს პერიოდში, მთავრობა გეგმავს არაერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელებას სოფლის-მეურნეობის მიმართულებით, რის შედეგსაც, მალე ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქე იგრძნობს.

გიორგი ჭყონია,

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის უფროსი

მშვიდობა თქვენდა

ვიცით, რომ ამ წერილის წაკითხვით ტკივილი გაგიახლდებათ, მაგრამ ჩვენი სურვილი აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის გაცოცხლებაა!

გვინდა წიგნი გამოვცეთ იმ ვაჟკაცების შესახებ, რომლებმაც ქართული მიწისათვის საკუთარი სიცოცხლე გაწირეს! ამისთვის ერთმანეთთან კონტაქტი გვჭირდება.

გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენთან (ან დაგვირეკეთ), მოგვაწოდეთ ბიოგრაფია, სურათი, წიგნი, რომელშიც თქვენი შვილის, ახლობლის შესახებ წერილი იქნება დაბეჭდილი, საჩუქრად მოგართმევთ!

ჩვენ, ამით, მათი სულების უკვდავყოფა გვინდა!

ღმერთს ვებარებოდეთ!

მოკრძალებითა და სიყვარულით, საზოგადოება „თეთრი მანდილის“ თავმჯდომარე, გაზეთ „თეთრი მანდილის“ რედაქტორი

ემთერ ქადეიშვილი.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3; ქალაქის მერია (მეორე სართული).

ტელ. (593) 32 43 15; 27-41-30.

ძვირფასო ქალბატონებო!

ოზურგეთლებს სურვილი გვაქვს აღვადგინოთ საზოგადოებრივი მოძრაობა **„თეთრი მანდილი,“**რომელიც, 1993 წელს, კინორეჟისორ ქეთი დოლიძის ინიციატივით შეიქმნა და რესპუბლიკის ქალები, სამშვიდობო მისიით, სოხუმისკენ წავიდნენ –აქციაში 22 ოზურგეთელი ქალი მონაწილეობდა.

ამ საზოგადოების აღდგენით საქველმოქმედო საქმეს გავაკეთებთ (სოფლების, ქუჩების მიხედვით წარმოვაჩენთ პიროვნებებს, გავიხსენებთ გარდაცვლილთ, წიგნებად გამოვცემთ რაიონის ცნობილ ადამიანთა ცხოვრების გზას, შეძლებისდაგვარად დავეხმარებით ინვალიდებს, გაჭირვებულ ოჯახებს, უპატრონო ბავშვებს, ომების მონაწილეებს).

ამისათვის აუცილებელია „თეთრი მანდილის“ წევრთა რაოდენობის გაზრდა!

გაქვთ სურვილი?–შეგვეხმიანეთ, შეგვხვდით, წინადადებები შემოგვთავაზეთ, გაწევრიანდით ჩვენს ორგანიზაციაში!

უფალმა დალოცოს თქვენი გზა-სავალი, კეთილი სურვილებით აგავსოთ!

ღმერთს ვებარებოდეთ!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3; ქალაქის მერია (მეორე სართული).

ტელ. (593) 32 43 15; 27-41-30.

გია სარჯველაძის ტკივილიანი მოგონება



საშინელი სასჯელი მიესაჯა შენს საბრალო დედას–მას უშენობა ჰქვია.

ცხრა წელი შესრულდა 12 ივლისს ჩვენი განშორებიდან. როგორ ენატრები, ეცოდები, ებრალები შენს საწყალ დედას. გვიყვარხარ და გვენატრები.

შენ მოსიყვარულე, შემბრალე შვილი იყავი, უფლება არ გქონდა სხვანაირი ყოფილიყავი, ისეთი კეთილი წინაპრები გყავდა. ცხოვრებისგან გულგაბზარული შენი საცოდავი დედა შენ შეგხაროდა. ქალიშვილივით მოსიყვარულე ჩემს მიმართ, შენი ღირსეული მეუღლე მედიკო, ბექა– გულს მიხარებდით. რა მძიმეა ოჯახისთვის ასეთი ხვედრი– ტკივილიანი და დარდიანი, რომელსაც ცხრა წელია გულისტკივილით ატარებს ოჯახი შენს მოგონებაზე. სიცოცხლე გრძელდება. გვყავს 3 წლის ლამაზი შვილიშვილი მარიამი, რომლის სიხარული და სიყვარული დაკარგე, არ გეღირსა. ბექას ლამაზგულიანი მეუღლე ნინო, რომლებიც შენგან ტკივილებით გატანჯულ გულს ნაწილობრივ დროის მონაკვეთში სიხარულით მივსებენ. წუთისოფლის გამორჩეული სტუმარი იყავი და სიბერისთვის ვერ გაგიმეტა ღმერთმა. შენი სიცოცხლე 48 წელს ითვლის. შენ სიკეთე გექცა მიწიერი საქართველოდან ზეციერში დასამკვიდრებლად– იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. აქ სიკეთის დახმარების ხელს უწვდიდი ყველას და ახლა ზეციური საქართველოდან ლოცავ ყველას.

ღმერთმა სასუფეველში დაგიმკვიდროს შენი ლამაზი გატანჯული სული.

შენი საბრალო დედა

იზო ქარჩილაძე.

სააქციო საზოგადოება „იმედის“კოლექტივი იუწყება აქციონერ **ციცო (რენა) სიამაშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

ქ. ოზურგეთის, №1 საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის **ვახტანგ ბარამიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

იყიდება

სოფ. ჭანიეთში (ქაქუთი) ოროთახიანი ხის სახლი.

(ზომით 30 კვ.მ). ასევე 100 ცალი ბლოკი.

ფასი 550 ლარი.

საკონტაქტო ტელეფონი

(598) 705 357.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**

ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე